

პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N45, 21.11.1997, გვ. 55) 121-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი :

„დ) სამსახურის სტაჟად ჩაითვლება ასევე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი თუ პირი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა საშუალო განათლების დაწესებულების დამთავრების წელს.“

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული სამსახურის სტაჟის გამოთვლის წესი არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2009 წელი